ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

5

გამოცემის, 55-ე წელი, (№ 1519). მარტი, 1978, ფასი 20 კაპიკი.

ნახ. გ. ფირცხალავასი



...ერთხელ მხოლოდ, ისიც ჯინსში, ქართველ ქალთა ვნახე კრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ!

ალარ მახსოვს: დამებედა, თუ ძალათი დავიბედე, —
სული მძვრება, — სარვამარტო ლექსს ფეხთ ვიდრე გაგიგებდე!
სიტყვა მინდა შეგირჩიოთ სულ ქათქათა, დაპენტილი,
არ გიმალავ: სიყვარულით ვარ დამუხტულ-დატენილი!
მიწავ, მტკავლით აზომილო, ჩვენი აკვნის, ძუძუს მიწავ,
გიდღეგრძელებ, ვინც მანდილით შენ დიდება გადაგიწნა!
მიწავ, ჯიში ხალიბისა, ცაში ვარსკვლავს გადაადნობს!
დაგილოცავ ქართველ ქალთა საჭადრაკო-სანავარდოს!
იფოთლება, მიწავ, შენი უკეთესი, ნაზი სქესი,
იქაჩება მათკენ ჩვენი ტუჩ-ხელფასი და გულ-ლექსი!
ეს თვე ისე შემოგვცქერის, ისერიგად ილრიჭება, —
რვა მარტს უნდა დავაწესოთ ჩვენ ხარისხის მინიჭება!
ხუთწლედი გვაქვს ასეთი და დღეს ქალებსაც ვახარისხებთ,
ზოგს მთლად სულში ჩავუძვრებით, გულის კოვზზე გადავიხვევთ!..
ეს ნიშანი ხარისხისა უნდა ვუძღვნათ წინ-წინ ნონას, —
ვისაც მთელი საჭადრაკო დღეს მსოფლიო დაემონა!
მიწავ, თვალებდახუჭული მიუძღვნიდი შენ ამ ნიშანს:
დედას, ოთხ-ხუთ შვილიანსა, ჩვენს სისხლთან რომ არა გვთიშავს!
შენი ფერი — შესაფერი — ვინც სახელი მოგირთველა—
ყველას, ყველას მიაკუთვნებ შენ ამ ნიშანს უშურველად!
თუმცა, მიწავ, კვლავ გამძიმებს აზრი, როცა მსუბუქდება,
როცა ქალი არსადა ჩანს, მაგრამ ისმის სკამის ქება!
შენ გამძიმებს, ვინც დედობას ისე უფრთხის, როგორც სახადს,
ვინც ერის ყლორტს (ხვალინდელსა!) ძირში სჭრის და ჩუმად
მარხავს!..
შენ გამძიმებს, როს ძუძუსთან ყრმას ქართულს არ აწოვებენ,
ჩუქურთმიან ენას სხეპენ, ჩიქურთულს კი აწონებენ!..
წინაპართა ადათ-წესსა, მიწავ, მიტომ ვასრულებდით,—
არა გყავდა ციტვინსიტყვა, ცივგულსისხლა ასულები!
სხვას რას ვერჩით, მიწავ ჩემო, კლდეს ჩვენ თვითონ ვეხეთქებით,
ენაგრძელი, ჭკუამოკლე ეფქტიან-დეფექტებით!..
შენ გამძიმებს, როს დიპლომი ვერ იპოვის ნამდვილ პატრონს,
როცა ქალი ტყემალზე ზის და კაკალზე დიპლომატობს!
ამძიმდები, ბაზრის თითი როცა ჯიბეს გამოგწვდის,
როცა მაძლარ ბიუროკრატს გაეხსნება მადა წერის,
როცა ქალის ავტორიტეტს გაზომავენ ფულის ადლით,
მადლს რომ მარილს მოაყრიან, ამლაშდება როცა მადლი!..
შენ გამძიმებს ურწმუნოთა, ქილიკოსთა მთელი დასტა, —
გზაზეც რომ არ გადაუხტეთ, გულში უხტით შავი კატა!
შენ გამძიმებს... თუმცა მეყო, ჩემზე უკეთ, თავად იცი,
ზოგს ახლავე, ზოგსაც გზა-გზა გადაცოცხავ, გადაიცლი!..
მიწავ, მტკავლით აზომილო, ჩვენი აკვნის, ძუძუს მიწავ,
გიდღეგრძელებ, — შენ მანდილით ვინც დიდება გადაგიწნა!
დაგებადოს! დაგეზარდოს! გაგექროლოს! გაგებედოს!
მაღალი და მაღლადმხედი ქართვლის დედა დაგებედოს!

**ზაზა კაციაშვილი**

## ღიმილიანი სიყვარული

● **დღეები** კალენდარს აახიეთ! — ლამაზი ქალი უკალენდროა!

● **სიყვარული** მატარებელი არ არის, მაგრამ გულისკენ მიმავალ ლიანდაგზე შედგომა მასაც სჭირდება.

● **ცოლი** შეირთო და... პოეზიიდან გამოირთო.

● **ორმხრივი** სიყვარული ცალმხრივზე უნაშთოდ არ იყოფა.

● **ნეტავ,** მაღლა როგორღაა? — ქალღმერთებს მარტო კაცღმერთები თხოულობენ?

● **რატომ** ვეძებთ მაინცდამაინც მეორე ნახევარს და არა — პირველს?

● **თუ** არ ჩაიძირე, სიყვარულის აზრს ისე ვერ ჩასწვდები!

ზ. კ.

ნახ. მ. აბაშიძისა








უსიტყვოდ

### ანდაზები

● **მარტოხელა** კაცმა თქვა: ჩემთვის რვა მარტი მხოლოდ კალენდარზე არსებობსო.

● **რვა მარტმა** თქვა: მე რომ არ ვიყო, ზოგ ქმარს ცოლის არსებობა დაავიწყდებოდაო.

**ალმანზორ თავაძე**

### დიალოგი

— **რამდენი** დღეა წელიწადში?
— **სამას** სამოცდათოთხი და... რვა მარტი!..

### განცხადება

● **საჭადრაკო** სკოლაში მიიღებიან მხოლოდ გოგონები!

**ანდრო კოკოლია**

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ



## სარვამარტო იუმორდი

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 1. მოდური, უნივერსალური სამოსი, რომელიც ღვინოსავითაა — რაც უფრო ძველია, მით უფრო მოსაწონია. 2. სასმისია, თუ ბევრს დალევ, თავი გისკდება, თუ თავზე დაგადგეს, ვერაფერს იგრძნობ. 3. ქმრის საზომი ერთეული ზოგიერთი ცოლისთვის. 4. ფულგანზომილებიანი ქმრის ნაირსახეობა. 5. კომბინატორის სრული ზომა. 6. პირველი ცნობილი ქართველი ქალი, რომელმაც შარვალი ჩაიცვა. 7. ქვეყანა, სადაც ქვედა კაბებს ატარებენ... მამაკაცები. 8. „სპორტული“ თამაშობა, სადაც ქალები თუ მიაღწევენ უმაღლეს შედეგს, რადგან მამაკაცებზე დიდხანს ცოცხლობენ. 9. ქიმიური საშუალება, რომელსაც წარმატებით იყენებენ ქალები მამაკაცების თავგზის ასაბნევად. 10. სუბიექტი, რომელიც არალეგალურად („ლევად“) სულს ყიდულობს და მერე ეშმაკზე ყიდის მამასისხლად. 11. განწყობილება, როცა კაცს წერა გინდა და მელანი არა გაქვს. 12. ქალის სამოსი. ანალოგიური სამოსისათვის ქვის ხანის ქალები ცხოველებს ატყავებდნენ, თანამედროვე ქალები კი — ქმრებს. 13. საოჯახო საბჭოს თავმჯდომარე. 14. სავაჭრო ხელშეკრულება მიქელ-გაბრიელთან.

კროსვორდი ჭაბუკა დეისაძისა

პასუხები მეშვიდე გვერდზე

## დედაენა

— მამიკო, რ ა ტ ო მ ჰქვია ჩვენს ენას დედაენა? — ჰკითხა პატარა ბიჭმა მამას.

— დააკვირდი, ვინ ხმრაობს მას ჩვენს ოჯახში ყველაზე მეტად და მიხვდები! — მიუგო მამამ.

## საშინაო დავალება

— პირდაპირ წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა, რომ ერთმა პიროვნებამ ერთ გვერდზე ამდენი შეცდომა დაუშვას! — წამოიძახა მასწავლებელმა საშინაო დავალების შემოწმებისას.

— ეგ ერთი პიროვნების მიერ დაშვებული შეცდომები არ არის, მემ! — განუმარტა მოსწავლემ.

* * *

— რატომ მ ი ე ც ი მეგარდერობე ქალს ერთი დოლარი?

— ნახე, რა შლაპა მომცა!

* * *

— რაიმე ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ა ნ ი... სენტიმენტალური წარწერით... საფოსტო ბარათი არა გაქვთ?

— აი, ეს ინებეთ! — „ჩემს ერთადერთს!“

— ო, ეგ კარგია, ექვსი ცალი მომეცით !

* * *

მეტისმეტად ს ქ ე ლ მ ა ქალმა ათასი რამ მოიზომა მაღაზიაში, მაგრამ ვერაფერი მოირგო ტანზე.

— ბოლოს და ბოლოს, ნუთუ არა გაქვთ ისეთი რამე, რაც მე მომერგება?! — წამოიძახა აღშფოთებულმა ლედიმ.

— ქოლგა! — მიუგო თავმობეზრებულმა გამყიდველმა

## ნეომარტიზმი

— გისმენთ.

— რას შვრები დღეს?

— პატარა საქმე მაქვს, ჯერჯერობით არ მცალია.

ეს პატარა საქმე სარეცხის რეცხვა იყო.

— ალო!..

— ... ვერა ვარ კარგად, წნევა მაქვს აწეული!

წნევა კი არ აწუხებდა, აუთოებდა.

— ალო!

— წნევამ დამიწია, ახლა გული მაქვს სუსტად, ფეხზე ვერ ვდგები!

გული არ ჰქონდა ცუდად, ოთახებს გვიდა.

— ალო!..

— გულმა გამიარა, წელის ტკივილმა გამიხსენა, მეშინია, რადიკულიტად არ დაპროგრესდეს!

რადიკულიტი არაფერ შუაში იყო, იატაკის რეცხვისგან სტკიოდა წელი.

— ალო!..

— გისმენ, ვიცი გაგიხარდება; წელის ტკივილმა გამიარა, მაგრამ თავი... ვშიშობ, მიგრენი არ დამემართოს!

მიგრენი სადილის მომზადების პირობითი ნიშანი იყო.

— ალო, როგორა გრძნობ თავს?

— კუჭის სიმჟავე მომემატა, გულ-მუცელი მეწვება.

თავის მომზადებულ სადილს მიირთმევდა და მუცელიც იმიტომ ეწვოდა.

— ალო, გამოკეთდი?

— კი!

— აბა, წამოდი!

— გვიანია, მეძინება.

ახლა კი სიმართლე თქვა. დაწვა და ფიქრს მისცა თავი, ბედნიერი ვარ, რომ არ მესმის **ცოლის** წუწუნი, ამას ვაკეთებ, იქ დავრბივარ, აქ დავრბივარ... ერთხელ, რვა მარტს მაინც იფიქრე ჩემს საჩუქრებზეო! მართლა რომ ბედნიერი ვარ! ვის რაში სჭირდება მაყვედრებელი!

ბერიკა ბერბიჭა

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

## [illegible]

ცოლად შევირთე გოგონა — ლამაზი, თვალებმაყვალა,
ბედნიერების ღიმილის სხივები შემომაყარა.
მეორე დილით, რომ ადგა, ვიფიქრე: „ნუთუ ცხადია?" —
სახის ნაკვთების აფიშა ბალიშზე გადუხატია.
ერთ საათს წარბი ეძება, თვალზე წაისვა ფანქარი,
წამწამი ლურჯად შელესა (გულმა დამიწყო კანკალი!).
დღისით „კონოთი" ერთობა, ღამით კი ქაჩავს სიგარეტს,
სადილად როცა დაჯდება, ახლოს არავის გვიკარებს.
ნამდვილი დენდი მგონია, ისე იცვამს და იხურავს,
ოჯახს მე ვუვლი ყოველდღე, ის უფრთხილდება ფიგურას.
ხალხნო, მითხარით, ცხოვრება, როგორ დავიწყო ახლიდან?
იმის მაგივრად მე რატომ უნდა გავიქცე სახლიდან?

თინათინ ხმალაძე

## [illegible]

— **ალო!** ლ ი დ ა, ჩემო, ძვირფასო, როგორ ხასიათზე ხარ დილას აქეთ? კარგ ხასიათზე? ძალიან მიხარია ჩემო სიცოცხლევ! რა მოგიტანო დღეს? ქათამი? ბულგარული, თუ ჩვენი? ხარაშო! ტკბილი რამე არ გინდა? ნიგოზი და თაფლი? კარგი! სამსახურის შემდეგ წავალ ბაზარში! კი, გენაცვალე! რაო? კინოში? რომელ სეანსზე? ბილეთებს წინასწარ ვიყიდი და წავიდეთ! სულ ეს არის? მეტი არაფერი გინდა? აბა, კარგად მოიფიქრე? „კრემი"? სპერმაცეტის? კი,საყვარელო, წამოსვლისას პარფიუმერიის მაღაზიაშიც შევივლი. ისადილე? ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ! რძეც დალიე? ძალიან სასიამოვნოა. ტიმაია უმნიცა! რა? ფრანგული სუნამო? რომელ მაღაზიაში? კი, გენაცვალე, აუცილებლად გიყიდი! აბა, კარგად იყავი, არ მოიწყინო უჩემოდ! მე მალე მოვალ! გკოცნი! ნახვამდის!

— ოჰო! თქვენ რაღაც საეჭვოდ ელაპარაკებით მაგ ქალს!..

— ვის? ჩემს ცოლს?!

ეთერ არგანაშვილი

## შტრიხები

● **ჟველაფერს** აყალბებდა და თავის საქმეს აყალიბებდა.

● **ჭუჭყიანი** საქმეებით ნაშოვნ ფულზე ამბობდა, ხელის ჭუჭყიაო.

● **წინათ** ქალებს იტაცებდნენ, ახლა მანქანების მოტაცებით არიან გატაცებულნი.

● **ისეთი** გამოსარჩენით ცხოვრობდა, არ იყო გამოსაჩენი.

ლია სარალიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რა უკუღმა ჩაგიცვამს დუბლიონკა?!
— გიჟო, შენ ასწავლი ცხვარს?!

## გაქალაქელებულ ხევსურ ქალს

ირემო, მთების სილაღევ,
გადმოხვეწილო ბარადა,
ქალაქში გნახე, ვერ გიცან,
თავი გამაცან ძალადა!..
გიშრის თმა შეგიკრეჭია,
თავს დაგიდვია კალათა,
ჩაგიცვამს, — თითქოს კაცი ხარ, —
ვეღარ გიცანი ქალადა!
გოგოვ, რა ღმერთი გაგიწყრა?!
გოგოვ, რამ გაგაჩანაგა?!
დობილებს გამორჩეული,
დაეხეტები ცალადა!
ვინც აქ სწავლობდნენ, დაბრუნდნენ
გოგო-ბიჭები ჯარადა:—
ლეილა, ძილა, მზექალა,
სამძიმარა და სანათა!..
ბევრი ფერმაში მუშაობს,
მწყემსავენ ცხვრების ფარასა,
ექიმიცა გვყავს, ქალთამზე,
ზვიადაური გვარადა, —
არ გავცვლით არც ერთ სხვაზედა,
ერთი ღირს ათას ქალადა!
წამოდი, ქალავ, ჩვენთანა!
რა სჯობს ჩვენი მხრის ცქერასა?!
წამოდი, საქმეს გაგიჩენთ,
შენი მშობლების ლხენასა!
თუ არ იკადრებ შრომასა,
არ დაგვიმშვენებ კერასა, —
ფარეხთან მაინც გამყოფებთ
ნადირის საფრთხობელადა!
აქ ბევრი ზიზღით გიცქერის,
ბევრი გიწუნებს ქცევასა,
იქ ჩვენთან შრომა გერჩიოს!—
დამიჯერებდე რჩევასა!
გულო, დამშვიდდი, რად ბორგავ?!
გულო, რადა გრძნობ ტკენასა?!
გულო, რად გიკვირს, ურგებზე
რაც ვათქმევინე ენასა?!

ვახტანგ სოზაშვილი
(თიანეთის რ-ნი)

## რატომ არ მიყვარს მარტის თვე?..

**მართალია,** მარტი გაზაფხულია, წელიწადის ყველაზე ლამაზი დროა, მაგრამ მე არ მიყვარს იგი! ახლავე მოგახსენებთ, რატომ:

ჯერ ერთი, ვერ გაიგებ ამინდის ამბავს. რომ გგონია კაცს, გაზაფხულდაო, გაიხდი თბილ სამოსელს, დანარჩენი კი თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

მარტში იგრძნობა, რომ სადაც არის, ზაფხული მოგვადგება კარზე და დაიწყება აგარაკის პრობლემები. წარმომიდგება ცოლის, სიდედრისა და ბავშვების გაცრეცილი სახეები და ტანში მაჟრჟოლებს...

მარტის ბოლოს მომადგება ცოლი:

— კოკი, ხომ იცი, ახლა კვარტალის ბოლოა, ეგება რამე იმპორტული გამოვიდეს მაღაზიებში, წადი, გაიარე, იქნება ბავშვების, დედაჩემის, ან ჩემი სარგო რამე იშოვო?!

და, რაც მთავარია, ქალების დღესასწაული — 8 მარტი!

ირბინე მაღაზიებში და ეძებე საჩუქრები ცოლისთვის, სიდედრისთვის, ცოლისდებისთვის... ახლა სამსახურში: 15 ქალი მიზის წინ — ერთს ვუყიდი, მეორეს ეწყინება, მეორეს მივართმევ რამეს, მესამეს ეწყინება...

შარშან დირექტორს ყველაზე ძვირფასი სუნამო ვუყიდე, ლამაზ კოლოფში გაფორმებული, და:

— ეს შენს ცოლს მიართვი! მე, ფრანგული „დუხის" მეტს, არაფერს ვხმარობ! — მომიგდო უკან საჩუქარი.

„ფრანგული სუნამო, თუკი ვიშოვე, ჩემი ნახევარი თვის ხელფასი ღირს, სად მაქვს მე მაგის საშუალება!" — გავიფიქრე გუნებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემმა მეორე ნახევარმა ტრადიციად აქცია ჩვენს ოჯახში გადაიხადოს 8 მარტის დღესასწაული. მოდიან მისი სკოლის მეგობრები, მეზობლები, მეუღლეებით და, არიქა:

— ნახეთ, ჩემმა სოლიკომ რა ბეჭედი მაჩუქა! შუაში საფირონია, გარშემო მარგალიტები, ძალიან ძვირი კი მისცა, მაგრამ ჩემთვის არაფერი არ ენანება, — გაიპრანჭა ვერიკო და ბეჭდიანი ხელი ქმარს კისერზე შემოხვია.

— მე კი ჩემი დიდი ხნის ნატვრა ამისრულა, ყავისფერი კრაველის ქურქი მიყიდა! — არ ჩამორჩა ლამარა.

— ერთი ჰკითხეთ ჩემს ქმარს, რა მომართვა 8 მარტს? — ირონიით გადმომხედა მაყვალამ.

— ჩემი თავი, კარგი შვილები, ეს სუფრა და იები! — ვცადე გახუმრება, მაგრამ ყველას ირონია დავიმსახურე.

ახლა მე თქვენ გეკითხებით: რატომ უნდა მიყვარდეს მარტის თვე?!

თინა ჟორჟოლიანი

## შეცდომით დარეკილი ტელეფონის ზარი

**ღმერთო,** ყველა [illegible] რვა მარტს [illegible] მეთქი! — ვევედრებოდი [illegible] და ვფიქრობდი, როგორ ამეცილებინა მოსალოდნელი უსიამოვნებანი. [illegible] მარტის მოახლოებისა რომ მეშინია, ისე [illegible] და [illegible] არ მეშინია! ჩემს ცოლს თუ რამე [illegible] საჩუქარი არ მივართვი, ქორწინების ერთი თვის თავზე დაწყებული ცივი ომი ცხელში გადავა. კი მაგრამ, რა ვუყიდო სარვამარტოდ? მოდი, მის ახლო მეგობარ ლიზიკოს დავურეკავ და ვკითხავ, რაზე ოცნებობს, რა უფრო აინტერესებს. წარმოდგენილი მაქვს, რა დღეში არიან მამაკაცები სარვამარტოდ. ეს ზოგადსაკაცობრიო სატკივარია და მისი გადაჭრა ცალკეულ პიროვნებებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ. ქმრის მოვალეობა მაიძულებს, ყურმილი ავიღო და მეუღლის მეგობარს დავურეკო:

— ლიზიკო გნებავთ? — ჩამესმის ყურმილში სირინოზის ხმა, — იგი ამჟამად აქ არ არის და რა გადავცე სიმპათიური მეუღლისაგან? — კვლავ ისმის გალობა.

როგორ ვუთხრა, მისი ამხანაგის მეუღლე ვარ და ჩემი ცოლის ამბავი მინდა ვკითხო-მეთქი? უხერხულია! ეგებ, ეჭვიანობაც კი დაიწყონ.

— გადაეცით, რომ ინგლისური გიპიურის პლაშჩი ვუყიდე, ჯინსის ტიპზე შეკერილი, ვერცხლის ქამრით! — ვიპოვე გამოსავალი და გახარებულმა იმით, რომ გამოსავალი ვიპოვე, შვებით ამოვისუნთქე.

სამუშაო საათებში პირად საქმეებზე წასული ლიზიკო სანამ დაბრუნდებოდა, მთელ განყოფილებას (სხვათა შორის, იმ განყოფილებაში ყველა ქალია) საზეიმო განწყობილება დაუფლებია.

— აი, მამაკაცი და მისი გემოვნება — აღტაცებით ამბობდა თურმე განყოფილების უფროსი მარი გიორგიევნა, — აბა, ზოგი რომ დღეს ტყავის პლაშჩს იყიდის, იმას რა უნდა მოთხოვო? არა, ლიზიკო უდავოდ ბედნიერი ცოლია- — გამოაქვთ გადაწყვეტილება! — ასეთ ქმარს ყველაფერი უნდა დაუჯეროს და მოვლა-პატრონობა არ მოაკლოს! — ეს უკვე დავალებაა.

...ლიზიკო თურმე სამუშაოს დამთავრებას არც კი დაელოდა, ისე გაქცეულა სახლში. ვინ იცის, გზაში როგორ ოცნებობდა იმაზე, რომ ბევრ მის მეგობარს ჩაუშხამდებოდა რვა მარტი, ლიზიკოს რომ უკანასკნელ მოდაზე ჩაცმულს დაინახავდა.

კარები სულმოუთქმელად შეუღია და თვალები ეშმაკურად მოუჭუტავს:

— სად არის პლაშჩი? — უკითხავს მას.

— რის პლაშჩი? — ფრიად განცვიფრებულა მეუღლე.

— როგორ თუ რის?! განა შენ ჩემთვის ლურჯი გიპიურის პლაშჩი, ჯინსივით შეკერილი, სტროჩკებითა და რეკლამებით დამშვენებული, არ გიყიდია?

— რას ამბობ? აზრადაც არასოდეს მომსვლია!

— მაშ, შენ არ დაგირეკავს? აბა, ვინ დარეკა, გიყიდეო?

ლევანი მხოლოდ ლიზიკოს ფართოდ გახელილ თვალებსა და უსასრულოდ ბევრ კითხვის ნიშანს ხედავდა. მე იგი საავადმყოფოში ვინახულე და მითხრა, რომ მხოლოდ ის ახსოვდა, თუ როგორ წამოავლო სკამის სახელურს ხელი. გალურჯებულ კოპს დაუწყო სწორება, რომლითაც მხოლოდ მოკრივეებს შეუძლიათ იამაყონ.

ისინი დღეს ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მე დღემდე ვერ გამირკვევია, რამ გააქრო ის დიდი სიყვარული, წლების მანძილზე ამ ადამიანებს ერთად რომ აცხოვრებდა?

ნუთუ, ერთმა შეცდომით დარეკილმა ტელეფონის ზარმა?

ანა დუნდუა

## ნაზავი

— მე თქვენ ძალიან მიყვარხართ!
— როგორ?
— თავზე მეტად!
— რა მოგწონთ ჩემი?
— ტანი და ფეხები!
— კარგი, მაშინ თავს სხვას შევაყვარებ!

თ. ხმალაძე

**ლექტორი:** აბა, მიბრუნე „ბიძაშენი"!
**სტუდენტი:** ბიძაჩემი გაფლანგვაზე დაიჭირეს და იმას, მე კი არა, ღმერთიც ვერ მოაბრუნებს, პატივცემულო!

* * *

— **სამსონ,** ერთი ოჯახიდან თერთმეტი კაცი რომ მიდიხართ ქელეხში, იქ ფეხბურთი ხომ არ უნდა ითამაშოთ?

მზია მეგალიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— შენ თუ კაი კაცი ხარ, წონაში რატომ დამაკელი?!
— ტვირთი მინდა შემიმსუბუქო!

ჩვენ, კაცური კაცები,
თქვენს ქალობას ვაფასებთ,
სიყვარულით წერიხართ
ჩვენი გულის დაფაზე!
მსურველი ვარ წყვილობის, —
ზოგს ვურჩევ და არ სჯერა, —
იყოს ხელის მოწერა
და არასდროს — გაწერა!
მრუდე სიტყვა არ გეთქვათ
მაზლისთვის, თუ მულისთვის,
ნუ დაჰკარგავთ დედამთილს
„დუბლიონკის“ გულისთვის!
ქალიშვილებს, გოგონებს
დრომ არასდროს გაგასწროთ,
დაქალებას გისურვებთ,
გაკაცებას — არასდროს!
ფიგურაზე ზრუნვაში
წლები უქმად არ ჩაჰკლათ!
თუ საჭირო გახდება,
დაგიდგებით მაჭანკლად!
მოსწრებოდეთ სიბერეს
ტკბილად, თმების სითეთრით,
მშობლებივით უყვარდეთ
თქვენს ქმრებს სიმამრ-სიდედრი!
სადაც დედამ გიმღერათ
„ნანინა“ და „სულიკო“, —
მარტო პურმარილისთვის
სოფლად არ ჩასულიყოთ!
სულ ღიმილი გვენახოს
თქვენთა თვალთა, ბაგეთა,
ქმრების ჭკვიან თავებზე
რქა არასდროს დაგედგათ!..
ბედმა მოგცეთ მეუღლე —
გულით, სულით ნანატრი,
ოღონდ ერი ამრავლეთ
ბევრი, ბევრი ნამატით
და, თუ გინდათ, თქვენ გქონდეთ
შვიდიც, რვა და ცხრა მარტიც!...
ერი უნდა ამრავლოთ! —
კარგს რას იზამთ ამის მეტს?!
ჯანდაბამდე ჰქონდეს გზა
ლალატსა და ალიმენტს!
მუდამ ეცით პატივი
ქმრების ყველა ნათესავს!
სარვამარტო სუფრასთან.
შაქარ-წყალი არ გესვათ!
დღეს ქეიფი თქვენია,
ბევრს არ დალევთ, — გენდობით!
შვილებს ჩვენვე მოვუვლით
თქვენც გაჯობებთ დედობით!

ვანო ცინცაძე

## შეყვარებული მათემატიკოსის წერილი ქალიშვილს

**100 პროცენტით** დარწმუნებული ვარ, ჩემი წერილი მეტად გაგაკვირვებს, ვინაიდან მე შენთვის **ორუცნობიანი განტოლების** ერთ-ერთი **უცნობი წევრი** ვარ. მაგრამ რას ვიზამთ, ასაკი მაიძულებს, **გამრავლებაზე** ვიფიქრო. **გამრავლებამდე** კი, ხომ იცი, **მიმატებაა** საჭირო. ვშიშობ, რომ არ იკადრებ ჩემთან **განტოლებას**, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს **ცდომილებაა**, ვინაიდან ჩვენ ერთმანეთისადმი **პირდაპირპროპორციული** ვართ და, რომელი **კუთხითაც** არ უნდა შეხედო საქმეს ადამიანისათვის საკუთარი **კუთხე** აუცილებელია. ვიცი, შესანიშნავ **წრეში** აღიზარდე და ყოველთვის იმ **წრის** ყურადღების **ცენტრში** იყავი. მე გულით მინდა, ახლა ჩემი **წრის ცენტრში** გადმოინაცვლო. ეს არ იქნება შენი ოჯახიდან **ფესვის** ამოღება. პირიქით ეს **პროგრესიაა**, მით უმეტეს, რომ მე, შეძლებისდაგვარად, **ხარისხში** აგიყვან. თუ არ მოგეწონება ჩემი ოჯახის სხვა **წევრები**, **გაყოფასა და გამოკლებას** რა უნდა? როცა მოისურვებ, ჩემი მშობლები **ფრჩხილებს** გარეთ გავიყვანოთ. იცოდე, სანამ **პერპენდიკულარულად** შეგვიძლია სიარული, მანამ აქვს სიცოცხლეს ფასი. როცა ჩვენი **დახრილობა** დედამიწის მიმართ **45 გრადუსს** მიაღწევს, ეს უკვე ნიშნავს, რომ **ჰორიზონტალური** მდგომარეობის მისაღებად ვემზადებით. შენს **დადებით** პასუხს შეუძლია ჩემი ცხოვრება **180 გრადუსით** შემოაბრუნოს, თუ ეს ასე მოხდება და შენ ჩემი **მეორე ნახევარი** გახდები, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც ერთმანეთის **პარალელური** ვიქნებით!..

მათემატიკოსი ნ. იოსებიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

116
22.III.78

## ოჯახური ფარსი

ჯერ ძლივს ეღირსათ დაქორწინება
და ასე უცებ — განქორწინება?!
სცადეს ერთურთის კვლავ მოცილება
ერთურთის „ტრფობით დახოცილებმა“!
ერთი თვეც „გულთა აღორძინება“
ვერ შეიშნოვეს დალოცვილებმა!
არვის ვუსურვებთ „გამობრწყინებად“
ასეთ „ოჯახურ გამოცდილებას“!

**გიორგი შეთეკაური**

ნახ. მ. მჭედლიშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. მ. აბაშიძისა



— ერთხელაც იქნება, ჩავალ და იმ პენსიონერ კაპიტანს დავახრჩობ!

ნახ. ლ. მართაშვილისა



უსიტყვოდ



ნახ. ლ. მართაშვილისა

უსიტყვოდ

N უნივერმაღში ასეთი მითითება მიიღეს: გამყიდველი მამაკაცები ქალებით უნდა შეიცვალოსო! ჰოდა, დაიწყეს გადაადგილება. პირველ რიგში ტრიკოტაჟის სექციონერი დაიბარეს, უთხრეს:

— თქვენს ადგილზე ქალი უნდა მივიღოთ!

— რაღა სხვა?! ჩემი ცოლი მიღებული ქალია! — გზები გადაუჭრა სექციონერმა კაცმა.

მერე მზატანსაცმლის გამყიდველი დაიბარეს:

— შენს ადგილზე ქალიც კარგად იმუშავებსო!

— თუ ასეა, ჩემი სიდედრი სანდო ქალია!

ასე, ამგვარად სანდო მიიღეს.

გალანტერეის განყოფილების გამგე ისეთი კაცი იყო, ხარს წააქცევდა, მაგრამ მასაც გაუბედეს:

— ქალმა უნდა შეგცვალოსო!

— ბიცოლაჩემი ქალი არ არის?! — იკითხა ტორეადორმა.

კიო, დაეთანხმნენ.

პარფიუმერიის სექციას ალკოჰოლსუნგაყლენთილი მამრი ხელმძღვანელობდა და მასაც შეაპარეს ახალი აზრი:

— დუხზე ხარ აყვანილი, ქალის ადგილს იკავებო!

— დუხის სუნს ვერ შევეღევი, ალერგია დამემართება სხვაგან...

შეეცოდათ და მის ადგილზე მისი და გაასუნამოეს.

მერე იჩობით წოდებული დირექტორი დაიბარეს და ჰკითხეს:

— ამდენ ქალებში ერთ კაცს რა გინდაო?!

არც აციეს, არც აცხელეს და დირექტორად მდედრი დანიშნეს. უნივერმაღის ბეჭდის გადაბარების დროს ყოფილ დირექტორს ახალი დირექტორი შეუყვარდა, რაც მათი შეუღლებით დამთავრდა...

**ავთანდილ ადისეი**

## წერილების კვალდაკვალ

**ზესტაფონის** რაიონის **სოფელ ტაბაკინიდან** გვწერდნენ, საავტომობილო გზა ზესტაფონიდან ჩვენს სოფლამდე, სამანქანოდ კი არა, ფეხით სასიარულოდაც არ ვარგაო.

**ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან** გვაცნობეს, რომ, წერილში აღნიშნული, სინამდვილეა. გზა შეკეთდა ნაწილობრივ, 1978 წლის პირველ კვარტალში კი მისი შეკეთება მთლიანად დამთავრდება.

* * *

**რედაქციაში** გამოგზავნილ წერილში **ხულოს რაიონის სოფ. დიოკნისის** ახალგაზრდობა ითხოვდა მათ სოფელში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

**ხულოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან** შეგვატყობინეს, რომ აღმასკომმა იმსჯელა წერილში აღნიშნულ ფაქტებზე და დასახა ღონისძიებანი სოფლად კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, კულტურული და ფიზკულტურული კერების მუშაობის გააქტიურებისათვის.

* * *

**გალის** რაიონის **სოფ. სიდის** ცხაკაიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებნი უჩიოდნენ ნაკლოვანებებს გაზით მომარაგების საქმეში.

**გალის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან** მოგვწერეს, რომ „გალიგაზის“ სამონტაჟო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსი **ბ. ზუხბაია** სუსტი მუშაობისათვის გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

მიღებულია ზომები რაიონის მოსახლეობისათვის გაზის მიწოდების გასაუმჯობესებლად.

* * *

**ჟურნალ** „ნიანგის“ მე-19 ნომერში სათაურით — **„შენ წყალო, ლაშიჭალისავ!“** — დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ნაკლოვანებები **პანსიონატ „ლაშიჭალაში“** დამსვენებელთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საქმეში.

**საქართველოს კპ ცაგერის რაიკომმა და საკოლმეურნეობათშორისო სანატორიუმების მშენებლობის და ექსპლუატაციის რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქკოლმეურნეობათშორისო სანატორიუმმა“** შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და რედაქციას აცნობეს, რომ წერილში მოტანილი ფაქტები დადასტურდა. **ლაშიჭალის პანსიონატის დირექტორს** — კ. **ჭინჭარაძეს და დირექტორის მოადგილეს სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში** — თ. **რობაქიძეს დაედოთ პარტიული სასჯელები.** დაისახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაც შეეხება გზას სოფელ ორბელიდან კურორტ ლაშიჭალამდე, მის შეკეთებაზე უნდა იზრუნოს როგორც ცაგერის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა. ისე საკოლმეურნეობათშორისო სანატორიუმების მშენებლობის და ექსპლუატაციის რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქკოლმეურნეობათშორისო სანატორიუმმა“.

### იუმორდის პასუხები

| | |
|---|---|
| 1. ჯინსი | 8. სპორტლოტო |
| 2. ყანწი | 9. კოსმეტიკა |
| 3. ფული | 10. გადამყიდველი |
| 4. კომბინატორი | 11. მელანქოლია |
| 5. სასჯელი | 12. „დუბლიონკა“ |
| 6. მაია წყნეთელი | 13. სიდედრი |
| 7. შოტლანდია | 14. ქელეხი |

7 - 78 78-116

Индекс 76187




უსიტყვოდ

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე, ზ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ● გადაეცა ასაწყობად 6/II-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 400 უე 00653 ტირ. 145.000 ● Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси; ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, მ. ანთაძე, ჭ. ლოლიაძე, ვ. ქუცია, მ. ქურხულაშვილი, ლ. მარ-თაშვილი, გ. მეტრეველი, ნ. ქოთოლაშვილი, მ. ფარცხალავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა